პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**დადგენილება №**

**2024 წლის ----- თებერვალი, ქალაქი ბათუმი**

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკონტეინერო მოსაკრებლის შემოღების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტის და 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, მე-5 მუხლის $7^1$ პუნქტის, $12^3$ და $17^8$ მუხლების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებული იქნას საკონტეინერო მოსაკრებელი და მოსაკრებლის განაკვეთი 1 კონტეინერისთვის განისაზღვროს 30 ლარის ოდენობით.

**მუხლი 2**

1. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის $17^8$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდევინებისთვის პასუხისმგებელი სათანადო ორგანოს განსაზღვრამდე ამ მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური.

2. „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის $17^8$ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მიზნებისთვის საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდის წესი, პერიოდულობა და ვადა.

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **რამაზ ჯინჭარაძე**

## განმარტებითი ბარათი

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

"ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საკონტეინერო მოსაკრებლის შემოღების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**

**ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

2024 წლის 1 თებერვლიდან ძალაში შევიდა „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონი, რომლითაც ადგილობრივი მოსაკრებლის ერთ-ერთ სახედ განისაზღვრა საკონტეინერო მოსაკრებელი.

აღნიშნული ადგილობრივი მოსაკრებლის გადამხდელია საქონლის გადამზიდავი, რომლის საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არის საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ საზღვაო ნავსადგურში შემოტანილი/საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზღვაო ნავსადგურიდან გასატანი საქონლით დატვირთული კონტეინერი.

გადამზიდავი ვალდებულია, მოსაკრებელი გადაიხადოს:

საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილი საქონლით დატვირთულ კონტეინერზე – საქონლით დატვირთული კონტეინერის საზღვაო ნავსადგურიდან გატანამდე ან საზღვაო ნავსადგურში კონტეინერის გახსნამდე (კონტეინერის გახსნის შემთხვევაში);

საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გასატანი საქონლით დატვირთულ კონტეინერზე – სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით კონტეინერის რეგისტრაციამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კონტეინერი არ არის სპეციალური ელექტრონული კონტროლის საშუალებით რეგისტრირებული – საქონლით დატვირთული კონტეინერის გემზე დატვირთვამდე.

„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდევინებისთვის პასუხისმგებელი სათანადო ორგანოს განსაზღვრამდე ამ მოსაკრებლის გადახდის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური. ამავე კანონის შესამისად საქართველოს მთავრობის დადგენილებით განისაზღვრება საკონტეინერო მოსაკრებლის გადახდის წესი, პერიოდულობა და ვადა.

**ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:**

პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნა საკონტეინერო მოსაკრებელი, რომლის მიხედვითაც მოსაკრებლის განაკვეთი 1 კონტეინერისთვის განისაზღვრა 30 ლარის ოდენობით.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს დამატებითი ხარჯების გაწევას;

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

წარმოდგენილი პროექტი ბიუჯეტზე ზეგავლენას მოახდენს შემოსავლების კუთხით, კერძოდ გაიზრდება ბიუჯეტის შემოსავლების წლიური მაჩვენებელი, საშუალოდ 3-5 მილიონი ლარი. (ბათუმის პორტის საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა შეადგენს 200 000 TEU წელიწადში-https://www.batumiport.com/.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

წარმოდგენილი პროექტით ადგილობრივი მოსაკრებლის გადამხდელია საქონლის გადამზიდავი, რომელიც საზღვაო ნავსადგურში შემოტანილი/საქართველოს ტერიტორიაზე

არსებული საზღვაო ნავსადგურიდან გასატანი საქონლით დატვირთული ერთ ერთეულ კონტეინერზე გადიხდის 30 ლარს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

პროექტი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**ე) პროექტის ავტორი:**

პროექტის ავტორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური;

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**

**საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი**
**ედნარ ნატარიძე**